

ქართლი¹

(„ტიფლისსკი ვესტნიკის“ კორესპონდენცია).

1877 წელი

I

ამ ზაფხულს ბედმა გადამისროლა ერთ-ერთ იმ მრავალრიცხოვან ხეობათაგანში, რომელთაც ჰქმნის თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობები. ამ ხეობის ქვედა ნაწილი უკავია სოფელ კავსთისხევს, ზემოთ კი გაშენებულია უძველესი სავანე - ქვათახევის მონასტერი. ამ მონასტრის ტაძარი აგებულია ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე და ამიტომაც 15 აგვისტო, მარიამობას, ამ ტაძრის გალავანში დიდი რელიგიური ზეიმიცა, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრება არა მარტო გარშემო სოფლებიდან, არამედ საქართველოს შორეული კუთხეებიდანაც. მე დიდი ხანია არ მენახა ასეთი ზეიმი, რაც ქართველი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთ რელიგიურ თავისებურებას შეადგენს, ამიტომაც ძლიერ მსურდა დავსწრებოდი მონასტრის დღესასწაულს, მაგრამ ერთი დაბრკოლება მეღობებოდა. ერთადერთ ჩემს თანამოაგარაკეს, რომელიც შეტევას აწარმოებდა ერთ ერთი უცხოური ენის წინააღმდეგ, გაგონებაც კი არ უნდოდა წასვლაზე, თითქოს ემინოდა, შეტევის შეწყვეტის განმავლობაში ვაი თუ ამ ენამ სანოვაგე მოიმარაგოს და სასურველი კაპიტულაცია დააყოვნოსო. ისლა დამრჩენოდა, ან მარტოდმარტო გავდგომოდი გზას, რაც ფრიად მოსაწყენია, ანდა სრულიად ამელო ხელი მომავალ სიამოვნებაზე, რაც ჩემთვის ფრიად დასანანი იყო. ბედნიერმა შემთხვევამ ამაცილა ეს არასასიამოვნო დილემა და შესაძლებელი გახდა მისი მესამე, სასურველი გადაწყვეტა. დღესასწაულამდე ორი დღით ადრე კავთისხევში ჩამოვიდა ახალგაზრდა, ჩვენი ნაცნობი გეოლოგი კავთისხევის ხეობაში გეოლოგიურ და სხვა მეცნიერულ გამოკვლევათა ჩასატარებლად. ციური მანანასავით გამახარა მისმა ჩამოსვლამ, რადგან ვიცოდი, რომ ხალხის ცხოვრება და მისი გამოხატულებანი მას თავის გეოლოგიაზე ნაკლებ არ აინტერესებდა; დარწმუნებული ვიყავი, ის დიდი სიამოვნებით ისარგებლებდა ამ შემთხვევით, რომ ენახა საეკლესიო - სახალხო ზეიმი. მე არ შევმცდარვარ. ტაძრის დღესასწაულზე დასწრების აზრს იგი მით უფრო დიდი სიამოვნებით შეეგება, რომ შესანიშნავი შემთხვევა ეძლეოდა შეერთებინა საქმე და გართობა, ან, ქართული ანდაზისა არ იყოს, კვიციც გაეხედნა და მამიდაც ენახა. გადავწყვიტეთ ერთი დღით ადრე გავდგომოდით გზას, რათა წინასწარ დაგვეკავებინა მონასტრის მრავალრიცხოვანი ოთახიდან ერთ-ერთი და თავიდან აგვეშორებინა ღია ცის ქვეშ ღამის გათევის არასასიამოვნო აუცილებლობა. ჩვენი საგანგებოდ აფექტირებული სიხარული მომავალი მგზავრობის გამო ჩემს თანამოაგარაკესაც

¹ ეს სტატია დაიბეჭდა „ტიფლისსკი ვესტნიკში“ სამოცდაათიანი წლების დამლევს. ამ დროიდან დაწყებული თბილისელი სომეხი ინტელიგენციის წინამძღოლებმა მთელი ძალ-ღონე მოანდომეს იმას, რომ ძმური ურთიერთობა ამ ორ ეროვნებას შორის შეეცვალათ მტრობითა და ღვარძლით; ისინი ისე იყვნენ დაბრმავებულები, რომ ყურადღებას არ აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ ურთიერთობის გამწვავება ქართველთა და სომეხთა შორის, რაც უკანასკნელთათვის თბილისშიც არ იყო ხელსაყრელი, პროვინციებში უსათუოდ გამოიწვევდა მათთვის უადრესად სამწუხარო შედეგებს.

გადაედო; მან მოხსნა ალყა გოეთესა და შილერის ენას, შემოგვიერთდა და ჩვენი კომპანია გაადიდა სამამდე, რაც ასე საჭიროა სასიამოვნო მეზავრობისათვის. აქ არ შევუდგები კავთისხევის ხეობის თავისებურ წარმტაცობის აღწერას, იმიტომ რომ, სხვა რამით არ ვიცი, მაგრამ ბუნების მშვენიერებანით ისე მდიდარნი ვართ, რომ ყოველი ფეხის გადადგმაზე მით ვტკბებით. არც მეზავრობის თავგადასავალით მოგაწყენთ თავს, თუმცა იყო ფრიად სასაცილო შემთხვევებიც რომელთაც შეუძლიათ მკითხველის გულწრფელი სიცილი გამოიწვიოს. არც იმას მოგიყვებით, თუ გზად როგორ ესაუბრებოდა ჩვენი გეოლოგი ქვებს, რომელთა ენაც მას უკეთ ესმოდა, ვიდრე... თურქ სარდლებს სტრატეგია და ტაქტიკა. არ შევხები არც ქვათახევის მონასტრის თვალწარმტაც მდებარეობას, რაც ზედმეტად მოწმობს იმას, რომ ძველი დროის ბერები, როცა მშვენიერი სქესის მომხიბვლელობას გაურბოდნენ, ამას ინაზღაურებდნენ ბუნების მომხიბვლელობით და სავანებს იშენებდნენ საუცხოო ადგილებში. დუმილით გვერდს ავუვლი მონასტრის ტაძრის საოცარ ხუროთმოძღვრებსაც; ეს ტაძარი აგებულია ჯერ კიდევ XII საუკუნეში წმინდა ბიზანტიურ სტილზე და ცხადად მოწმობს იმას, თუ სრულქმნილების რა მაღალ საფეხურზე იდგა ხუროთმოძღვრების ხელოვნება ერთიანი საქართველოს არსებობის საუკეთესო ხანაში. არც იმას ავლწერ, რა კეთილმოწყობილია მთელი მონასტერი ტაძრითურთ და მრავალრიცხოვანი ოთახებითურთ მთელ საქართველოში ცნობილ არქიმანდრიტ ტარასის ფხიზელი შრომითა და დაუღალავი მზრუნველობით: არქიმანდრიტი ტარასი გარდაიცვალა ამ სამი წლის წინათ, ის იყო - დღეს თითქმის სავსებით გადასული - ძველი საქართველოს ბერის წმინდა ტიპი, რომელსაც ახასიათებდა მკაცრი უბიწობა, სპარტანული სიმკაცრე, სამართლიანობის დიდად განვითარებული გრძნობა, კლასიკური უანგარობა და ამასთანავე პირად შეგებაზე ზრუნვა, ღრმა ერთგულება სამშობლოს ინტერესებისადმი. არ შევეცდები გადმოგცეთ ის ძლიერი შთაბეჭდილება, რაც ჩვენზე მოახდინა დიდებული საზეიმო-მოკრძალებული ძველი საეკლესიო კითხვის მოსმენამ, რამაც ალტაცებაში მოიყვანა ჩვენი გეოლოგიც კი, რომელიც მაინცდამაინც ახლოს არ იცნობს ქართულ ენას, - კითხვის, რომელიც დღეს საბოლოოდ მივიწყებულია და შეცვლილია დამახინჯებულ სემინარიელთა საცოდავი ბუტბუტით. დასასრულ, - თუმცა ძლიერ ვწუხვარ - მკითხველის წინაშე არ გადავშლი დღესასწაულის წინა ღამის ზეიმის სურათს, როცა სალოცავად თავმოყრილი ხალხი, განლაგებულია თავიანთი ურმებით ტყეში ათეულ ცალკე ჯგუფებად, თითქმის მთელი ღამის განმავლობაში მდებოდა ათასნაირ ხალხურ მოტივებზე და უთვალავი სიმღერებით ააშკარავებდა ქართული ხალხური პოეზიის საოცარ სიმდიდრეს. არც ერთ ამ საინტერესო საგანზე არ ვჩერდები იმიტომ, რომ მინდა ვისარგებლო ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტით, რაც თვალში მეცა მონასტრის ნახვისას და ვფიქრობ, მკითხველის ყურადღება მივაპყრო უფრო დიდმნიშვნელოვან საგანს, უფრო საინტერესო და სრულქმნილ საკითხს. ამას ვბედავ მით უფრო მეტი ხალისით, რომ ეს საგანი სრულად უკუღმართად ესმით არათუ ჩვენი განაპირა მხარეების ფარგლებს იქით, არამედ თვით ამ განაპირა მხარეებშიც. ძალიან კარგად ვიცი, რომ ამით ვერ გავამართლებ მკითხველის მოლოდინს, გამოწვეულს ამ კორესპონდენციის დასაწყისით; მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ, მიუხედავად ამისა, მკითხველი ჩემი

უკმაყოფილო მაინც არ დარჩება, როცა მასში ცნობებისა და ფიქრების მთავარ საგნად დაინახავს არა იმას, რასაც მოელოდა.

ზაფხულის საუცხოო სადამო იყო, როცა ფეხი შევდგი ქვათახევის მონასტრის გარე ეზოში. ღრმა ქვაბურის დასავლეთი მალლობი, რომელზედაც აგებულია მონასტერი, უკვე დიდი ხანია სქელ ჩრდილს ჰფენდა მონასტრის ეზოს და სასიამოვნო სიგრილეს ჰქმნიდა. მთელი ეს ეზო, მთის სქელი მწვანით შემოსილი, ოსტატი ბუნების ხელით მოქსოვილი, დიდებულ მწვანე ნოხად მოგვეჩვენა. მაგრამ მალე ჩვენი თვალი მიიპყრო სხვა სანახაობამ, როცა მონასტრის ეზოს სამხრეთ კუთხისაკენ გავიხედეთ, დავინახეთ ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც ჩამოსულ მლოცველთა ოჯახის წინაშე ლეკურს ცეკვავდა დაირისა და დიპლიპიტოს ხმაზე. უბრალოდ, მაგრამ დიდი გემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდა ქალიშვილის მოხდენილმა ტანმა, მისმა სილამაზემ, პირველი ახალგაზრდობის სიქორფემ, მოძრაობამ, ლეკურის თამაშის ხელოვნებამ, ბოლოს, კონტრასტმა მოცეკვავე ქალიშვილისა, რომელიც მთელი თავისი გარეგნობით მოგაგონებდათ განათლებული ოჯახის ზრდილობიან ქალიშვილს, და მის ირგვლივ მსხდომ ოჯახს შორის, რომელიც აშკარად ჩანდა ხელოსანთა კლასს ეკუთვნოდა, უნებურად მიიზიდა ჩვენი თვალი და ჩვენი ყურადღება ამ სასიამოვნო სანახაობისაკენ, ასე მოულოდნელად რომ გადაიშალა ჩვენს თვალწინ. სამმა წყვილმა თვალმა, მიშტერებულმა ახალგაზრდა გოგონასაკენ და როგორც ყველაფრით ჩანდა ეკუთვნოდა სუბიექტებს, რომელთაც ეგრეთწოდებული ინტელიგენტობის აშკარა პრეტენზია ჰქონდათ, კიდევ უფრო აღაგზნო იგი და მაინც არ დააყოვნა გამოეჩინა მთელი თავისი ხელოვნება ცეკვისა, რათა გაემლიერებინა შთაბეჭდილების სიამოვნება, რომელსაც აშკარად ახდენდა იგი ჩვენზე... გოგონა ჯერ კიდევ ნარნარად დაჰქროდა მწვანე ნოხზე, როცა ჩემი ყურადღება განერიდა ესთეტიკურ მჭვრეტელობას და სულ სხვა მხარემ მიიქცია... როცა უფრო დავაკვირდი გამხიარულებული ოჯახის შემადგენლობას, შევამჩნიე, რომ ყველა ისინი განსხვავდებოდნენ იმ თავისებური შავგრემანობით, რაც შეადგენს სომეხთა ეროვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს. იმწამსვე თავში დამებადა აზრი, რომ ჩვენს წინაშე იყო სომხის ოჯახი, რომელიც ქალაქიდან ჩამოსულა სალოცავად მართლმადიდებლურ ქართულ მონასტერში. ეს ფაქტი, ჯერჯერობით მხოლოდ ნავარაუდევია, ფრიად დიდმნიშვნელოვან, ღირსშესანიშნავ მოვლენად მომეჩვენა, და მეც არ დავაყოვნე მონასტრის მორჩილის საშუალებით შემემოწმებინა ჩემი ვარაუდის სინამდვილე. ეს ვარაუდი სავსებით სწორი გამოდგა. აღმოჩნდა, რომ ეს ოჯახი მართლაც სომხის იყო, სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებისა და მართლმადიდებლურ მონასტერში სალოცავად მისულიყო აღთქმის თანახმად, რომელიც დაედო იმ ქალიშვილს, ქალთა ერთ-ერთ სომხური სასწავლებლის მოწაფის მძიმე ავადმყოფობის გამო, რამდენიმე წუთის წინ ასე რომ მოგვხიბლა. ეგ კიდევ არაფერი. მონასტრის მორჩილმა, რომელიც თითქმის ორი ათეული წელია მონასტერში იმყოფებოდა, მაცნობა, რომ ტაძრის დღესასწაულს მუდამ ესწრებიან სომეხთა ოჯახები, რომლებიც სალოცავად მოდიან სხვა დროსაც ქართველებთან ერთად. „დაიცადეთ“, მითხრა მან, „ხვალ დღესასწაულის წინადღით არა ერთი ურმით მოვლენ სომეხთა ოჯახები სალოცავად“ და მართლაც, მეორე დღეს ნასადილევს ურმებით მოვიდა სომეხთა რამდენიმე

ოჯახი, რომლებიც განლაგდნენ ნაცნობ ქართველ ოჯახთა ახლოს და მათთან ერთად შექმნეს მეგობრულად მოქეიფე ჯგუფები. ამ ოჯახებს თვალყურს ვადევნებდი და დავინახე, რომ ისინი მართლმადიდებელთა ტაძარში ისეთივე მოკრძალებით ლოცულობდნენ, როგორც ქართველები, უკანასკნელთა მსგავსად კოცნიდნენ ხატებს, ბერებს უკვეთდნენ მოსახსენებელს, ემთხვეოდნენ ჯვარს, იღებდნენ სეფისკვერს, იცხებდნენ მირონს და სხვა... ფენომენური თვალსაზრისით ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო: ახალგაზრდობისას მრავალჯერ მინახავს სომეხთა მონაწილეობა ქართველების მართმადიდებლურ დღესასწაულში; მაგრამ იმ დროს ჩემი გონება წარმოადგენდა ლოკის სუფთა დაფას, რომელზედაც ცხოვრება აღნიშნავდა გაუგებარ შიშველ ფაქტებს. ახლა კი გონება სულ სხვანაირად მიუდგა ამ ფაქტს, რომელიც პირველად სავსებით გასაგები გახდა ჩემთვის თავისი აზრის, მნიშვნელობისა და ღირსშესანიშნაობის მხრივ. ამ ფაქტმა, რომელმაც ყურადღება მიიპყრო, გამოიწვია მოგონება ათასობით ანალოგიური ფაქტისა და მოვლენისა ჩვენი ცხოვრებიდან, მრავალი წლის განმავლობაში რომ ვხედავდით, მაგრამ ამ გვესმოდა. და ამრიგად ჩემთვის ნათელი მოფინა ჭეშმარიტის სინათლით ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას.

ძნელად იპოვი სხვა საგანს, რომელიც განმარტებული და გაგებული იყოს უფრო მცდარად და უკუღმართად, ვიდრე ქართველთა და სომეხთა ურთიერთდამოკიდებულებაა. ამ ურთიერთობის შესახებ სასტიკად ცდებიან არა მარტო კავკასიის ფარგლების იქით, არამედ ჩვენშიც. ანტაგონიზმი, ურთიერთის სიძულვილი - აი, ტერმინები, რომლებითაც განსაზღვრავენ სომეხთა და ქართველთა ურთიერთობას, მიუხედავად ათასობით ფაქტებისა, რომელნიც მკვეთრად ეწინააღმდეგებიან ასეთს მცდარ გაგებას. რაღა შორს წავიდეთ, ამ გაზაფხულს დედაქალაქის სასამართლოში ვიღაც პიროვნებამ, რომელსაც რატომღაც ქართველად მოჰქონდა თავი, მოურიდებლად განაცხადა მთელი რუსეთის გასაგონად, შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ სომეხი მიწოდესო, იმიტომ, რომ, თითქოს, ქართველებსა და სომეხებს შორის არსებობს ურთიერთი სიძულვილი და თითქოს ქართველისათვის ყველაზე მძიმე შეურაცხყოფაა, როცა მას სომეხს უწოდებენ. კიდევ მეტი. ახლანდელი სამხედრო მოქმედების დაწყების წინ სატახტო ქალაქის პრესის ერთ-ერთმა დიდმა ორგანომ, როცა ამიერკავკასიაში სეპერატისტული მოძრაობის შანსებს განიხილავდა, პირდაპირ, მოურიდებლად განაცხადა, შეუძლებლად მიმაჩნია ასეთი მოძრაობა იმის გამო, რომ ამიერკავკასიის ორი მთავარი ეროვნება, ქართველები და სომეხები, ურთიერთის სიძულვილით არიან გამსჭვალულიო. როცა ასეთი ველურ შეხედულებას გამოთქვამდა, პატივცემული ორგანო ალბათ არც კი ფიქრობდა, რომ ორგვარ ცილისწამებას ეწეოდა, რაც შეემლო გამოეთქვა მხოლოდ რუსეთის დაუძინებელ მტერს. მართლაც, იმის თქმა, რომ რუსეთთან ჩვენი განაპირა მხარის კავშირი შეპირობებულია მისი ორი მთავარი ეროვნების ანტაგონიზმითო, ეს ნიშნავს იმ აზრის გავრცელებას, რომ რუსეთმა ვერ შესძლო ზნეობრივი კავშირით მიეზიდა ის ეროვნებანი, რომელნიც ნებაყოფლობით შეუერთდნენ მას და მათ მხოლოდ მექანიკური კავშირით აკავებს. მაგრამ ეს ხომ მავნე უაზრობის მწვერვალია. სომეხები მუდამ გამოსთქვამდნენ რუსეთის სრულ ერთგულებას. რაც შეეხება ქართველებს,

ისინი იბადებიან რუსეთის ერთგულებად, იმდენად დიდია მათი სიმპათია რუსეთისადმი და ისე განუწყვეტელია კავშირი, რომელიც რუსებთან აერთიანებს ყველა ქართველს - დიდსა და პატარას, განათლებულსა, რომელნიც უნაკლოდ დაუფლებიან რუსულ ენას, და ისეთს, რომელსაც არასდროს არა სმენია რუსული სიტყვა. ყველა, ვინც ახლოს იცნობს ამ ორი ეროვნების სულსკვეთებასა და მიმართულებას, დაგვეთანხმება, რომ მათი მხრივ სეპარატიზმი, რა ფორმითაც და რა გარემოებაშიც უნდა იყოს, ისევე წარმოუდგენელი და შეუძლებელია, როგორც თვით მოსკოვის გუბერნიაში. ეს კავშირი ისე მტკიცე და ისე მჭიდროა, რომ მისი უფრო გაძლიერება შეუძლებელია. ხოლო მისი შესუსტება თუმცა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია: რა სიკეთის დამცირება და რა სასარგებლო ურთიერთობის მოშინაძე არ შეუძლია კაცს? ზოგიერთი რუსი პუბლიცისტის სიბეცე და უგუნურება ისეთია, რომ ისინი თითქოს განზრახ მიილტვიან ამ მიზნისაკენ. ხელისმოწერის გასადიდებლად და ფულადი ანგარიშობის გულისთვის, რაც განსაკუთრებით დასაგმობია ლიტერატურულ სფეროში, ისინი მზად არიან ყოველ ხელსაყრელ და არახელსაყრელ შემთხვევაში აამონ თავიანთ უმეცარ მკითხველთა უხეშ ინსტიქტებს, განავითარონ მათში რასობრივი განკერძოებულობა, წაუსისინონ საზოგადოებრივი აზრი იმ ეროვნებებს, რომელთაც საერთო სამშობლოსადმი ერთგულების გარდა არასდროს არაფერი გამოუმჟღავნებიათ, გაითამაშონ სამშობლოს მხსნელთა როლი და ამრიგად უნდობლობა და მტრობა სთესონ იქ, სადაც დიდი ხანია, ისტორიულ ვითარებათა მსვლელობით, დამყარებულია სრული ნდობა, ერთსულოვანი თანხმობა და მტკიცე ერთგულება. მოიგონეთ, მაგალითად, ის უხეში შეურაცხყოფანი, რაც ამ ცოტა ხნის წინათ ბ-ნმა სუვორინმა თავის ორგანოში მიაყენა ქართველებს, - და ეს იმ დროს, როცა მრავალი ქართველი თავდადებული სიმამაცით იღუპება საერთო სამშობლოს სახელის, ღირსებისა და ბედნიერებისათვის... ასეთი გამოლაშქრებანი მძიმე ფიქრს აღძრავდა ჩვენში რომ არ იყოს საყოველთაო მტკიცე რწმენა, რომ რუსი ხალხის საღ გონებას საერთო არაფერი აქვს განსაზღვრული ყაიდის ზოგიერთ რუს ლიტერატორთან, გამსჭვალული რომ არიან ველური რასობრივი განკერძოებულობით და ცდილობენ ეს საზიზღარი თვისება ჩაუნერგონ თავიანთ მკითხველს. რუსეთის მმართველობა, რომელიც ემყარება ურყევ ზნეობრივ კავშირს, რაც უამრავი ძაფით აერთებს ქართველ და სომეხ ეროვნებებს რუსეთთან, საბედნიეროდ, სრულიად არ საჭიროებს ამიერკავკასიის ორი მთავარი ეროვნების გათიშვას და ურთიერთ ანტაგონიზმს, რომლის აზრი ნაყოფია, ერთი მხრივ, უმეცრებისა, ხოლო მეორე მხრივ - ბოროტი განსაზღვრისა. იმედი მაქვს დავამტკიცოთ უმთავრესად ხალხის ცხოვრების დაკვირვებით, რომ ქართველებს და სომეხებს შორის არათუ არ არსებობს არავითარი ანტაგონიზმი, არამედ მათ შორის არსებობს უაღრესად მტკიცე, უაღრესად გულითადი ძმური ურთიერთობა.

II

მარტო ქართლის ერთ სოფელში როდი შეადგენენ სომხები მოსახლეობის მნიშვნელოვან უმცირესობას. ქართველებსა და სომხებს შორის რომ ანტაგონიზმი არსებობდეს, სომხებს ადვილად შეეძლო განცალკევება, გამიჯვნა, შეეძლოთ შეექმნათ ცალკეული კარჩაკეტილი ჯგუფები და დარჩენილიყვნენ ქართველი ხალხისათვის უცხო ელემენტებად, მსგავსად ებრაელებისა, რომელნიც თუმცა საქართველოში დასახლებულან უხსოვარი დროიდან, სილმანასარისა და ნაბუქოდონოსორის ეპოქიდან, მაგრამ მაინც დღემდე ინარჩუნებენ სრულ განცაკევებულობას გარემომცველი წრისაგან.

მაგრამ სულ სხვანი არიან სომხები ქართველ ხალხთან ურთიერთობის მხრივ. ისინი ხასიათით, ზნე-ჩვეულებებით, ერთი სიტყვით ცხოვრების მთელი წყობით გრძნობენ ახლო ნათესაობას იმ გარემოებასთან, რომელშიც დიდი ხანია მოხვდნენ კაპრიზი ბედის წყალობით; მათ უარყვეს მექანიკური თანაცხოვრება ქართველ ხალხთან, გააბეს უმჭიდროესი ზნეობრივი კავშირი და შექმნეს მათთან ერთი ორგანული მთლიანობა. ქართლელი სომხებისათვის ძნელი არ იქნებოდა სრულად ხელუხლებელად შეენარჩუნებინათ ყველა თავიანთი ნაციონალური თავისებურებანი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ქართველ ეროვნებასთან ნათესაობისა და ძმობის შეგნება, რომ მათ არა მარტო სოფლად, არამედ სამაზრო ქალაქებშიც ქართული ენა გაიხადეს სიტყვიერ იარაღად, თავიანთ ყოველდღიურ ურთიერთობაში სომხები და ქართველები ერთმანეთისაგან თავს არაფრით ანსხვავებენ. ქართველი ისევე ადვილად და სიამოვნებით უწევს სამსახურს სომეხს, აბამს მასთან მეგობრულ ურთიერთობას, როგორც თავის თვისტომთან. კავშირურთიერთობისა და შეთანხმებულობის ეს სულისკვეთება ყველაზე ნათლად მჟღავნდება სოფლის საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევნების დროს. ქართლში არ გაგონილა სომეხთა და ქართველთა პარტიებად დაყოფა არჩევნების დროს, ისევე როგორც სხვა შემთხვევაშიც. ასეთი დაყოფა რომ იყოს, ვერც ერთი სომეხი ვერ გავიდოდა, რადგან სომხები ყველა სოფელში, სადაც ისინი ცხოვრობენ, უმცირესობას შეადგენენ; ამავე დროს მათ თანამდებობაზე ირჩევენ სოფლების მიხედვით, მაგალითად მამასახლისად, ქართველებზე უფრო ხშირად. თვით კავთისხევში, სადაც ამ სტრიქონებს ვწერ, მამასახლისად არის სომეხი, რომელსაც აგერ უკვე ცხრა წელია, ერთხმად ირჩევენ სასოფლო საზოგადოება, ამავე დროს კი ამ სოფელში სომხები მოსახლეობის მეოთხედს ძლივს შეადგენენ. მაგრამ ქართველთა და სომეხთა ერთ ორგანულ მთელად შეერთებას ყველაზე მკაფიოდ ცხადყოფს მათი რელიგიური ცხოვრების გამოხატულებანი. უნდა ვიცოდეთ, რომ ქართველებიც და სომხებიც მეტისმეტად ერთგულნი არიან თავიანთი სარწმუნოებისა და დიდი წარმოდგენა აქვთ მის სრულყოფასა და ღირსებაზე. არ ყოფილა მაგალითი, რომ ქართველებს მიეღო სომხის სარწმუნოება, ასევე მეტად იშვიათია შემთხვევა სომეხს მიეღო მართლმადიდებლობა. გარდა ამისა ქართველთა და სომეხთა სარწმუნოების განსხვავებაზე ხალხში მეტად უმართებულო და გაზვიადებული წარმოდგენა არსებობს. ქართველმა ხალხმა არც კი იცის ის გარემოება, რომ დოგმატის მხრივ

სომხისა და ქართველის სარწმუნოება სრულიად ერთნაირია და ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან, მაგრამ, წესების განსხვავებათა გავლენით, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მაგალითად, კათოლიკობა, რომელიც მრავალ არსებითს დოგმატში შორდება მართმადიდებლობას, ბევრად უფრო ახლოსაა მის სარწმუნოებასთან, ვიდრე სომეხთა სარწმუნოება. ასეთივე აზრისაა სომეხი მოსახლეობა იმ მანძილის შესახებ, რომლითაც დაშორებულია სომეხ-გრიგორიანთა რელიგია ქართველთა სარწმუნოებისაგან. თითქოს ყველა პირობა არსებობს რელიგიური განცალკევებულობისა და სარწმუნოებრივი მტრობისათვის. მაგრამ ეროვნული სულისკვეთების ნათესაობა იმდენად ძლიერია, რომ მან სრულიად გააქარწყლა რელიგიური განსხვავებების შეგნების გავლენა და ორივე ეროვნების თვით რელიგიურ ცხოვრებაშიც კი თანხმობა და ერთობა შეიტანა. საქორწინო ნათესაობასთან ერთად ქართველები და სომეხები ძალიან ხშირად სულიერ ნათესაობასაც ამყარებენ ერთმანეთს შორის და ბავშვებს უნათლავენ ერთიმეორეს. სომეხები ერთგულნი არიან თავისი სარწმუნოებისა, მაგრამ დადიან ქართველთა ეკლესიებშიც, ქართველებთან ერთად ლოცულობენ იქ, უკვეთენ ქართველ მღვდლებს წირვას და პარაკლისებს, იღებენ სეფისკვერს, კოცნიან ხატებს, ემთხვევიან ჯვარსა და სახარებას, იცხებენ წმინდა მირონს და სხვა... საეკლესიო დღესასწაულთა დროს ქართველებთან ერთად მიდიან მართმადიდებლურ შორეულ ეკლესიებში სალოცავად და რეალურ ზეიმებში ისეთივე მონაწილეობას იღებენ, როგორც ქართველები. მართლმადიდებელი მღვდელი, რომელიც ზიარებაზე უარს ეტყობდა უეცრად მომაკვდავ სომეხს, იმიტომ, რომ ის სხვა სარწმუნოებისაა, თავის, მრევლის საყოველთაო გულისწყრომას დაიმსახურებდა. ურთიერთპატივისცემა და რელიგიური თავაზიანობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იქამდე მიდის, რომ სომეხები სოფლად, ქართველთა რელიგიური გძრნობა რომ არ შეუარაცხყონ, არ ხსნილობენ აღდგომის წინაღლით, როგორც მათ ამის ნებას აძლევს საეკლესიო კანონები, ელოდებიან გათენებას და ქართველებისავით შეექცევიან სახსნილო საჭმელს. ჰკითხეთ ქართველს: რატომ ცდილობს ის მართლმადიდებელმა მღვდელმა აზიაროს მომაკვდავი სომეხი, რომელიც სხვა სარწმუნოებისაა და ის გიპასუხებთ: რაც ქართველის მაცხოვრებელია, არ შეიძლება ისეთი არ იყოს სომხისთვისაცო. ასეთ პასუხს გამსჭვალულწ ეროვნული ნათესაობისა და ურთიერთობის შეგნებით, თქვენ გაიგონებთ სომხისაგანაც. ვინც ქართველთა და სომეხთა ამ უმჭიდროეს ურთიერთობას ხსნის უკანასკნელთა გაფანტულობით სოფლის ქართველ მოსახლეობას შორის, სომეხთა ტამრებისა და მღვდლების სიშორით მრავალ პუნქტიდან, სადაც მათი მრევლი ცხოვრობს, მას ურჩევთ უფრო ახლოს გაეცნონ ქალაქელ ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას. აქაც ის დაინახავს იმავე თანხმობას, ურთიერთობისა და ძმობის იმავე სულისკვეთებას, რაც აღფრთოვანებს ორივე ეროვნების სოფლის მოსახლეობას. კეთილი მეზობლობა, ხშირი საქორწინო და სულიერი ნათესაობის გაბმა, სოლიდარობა ამქართა არჩევნების დროს, სომეხთა და ქართველთა პარტიებად დაყოფის სრულიად არ არსებობა,- აი, ქალაქის ორივე ეროვნების დაბალ წოდებათა ურთიერთდამოკიდებულება. რელიგიური ურთიერთობაც კი იგივეა. მრავალი ქალაქელი სომხისთვის ქართველთა ეკლესიები სალოცავი ადგილებია, რომელთა პატივს სცემენ ისეთივე მოკრძალებით, როგორც ქართველები და ხშირად მიდიან შორეულ ადგილას, თუმცა ეს მათ ძვირად უღირთ, რათა

ტაძრის დღესასწაულის დროს ილოცონ. მეორე მხროვ, სომეხთა განთქმულ სალოცავს, სურბ-კარაპეტის სახელწოდებით, რომელიც თბილისის ერთ-ერთ სამხრეთ გარეუბანშია, დიდ პატივს სცემს მრავალი ქართველი, დიდი რაოდენობით ესწრებიან რელიგიურ-სახალხო ზეიმს, რომელიც იმართება ამ ეკლესიის ხატობაზე. ქვედა სფეროებიდან მაღალზე თუ ავალთ, იმავე სასიხარულო მოვლენას დავინახავთ. ქართველი და სომეხი ინტელიგენციის საერთო ძალებით სომხურ-ქართული სპექტაკლების მოწყობა, კეთილი ამხანაგობა ზოგიერთი საერთო ლიტერატურული წამოწყების განხორციელებისას, ქართულ ლიტერატურაში მონაწილეობა ბევრი განათლებული სომხისა, რომლებიც სრულყოფილად დაუფლებიან ქართულ ენას, განათლებული სომეხი ახალგაზრდობის მონაწილეობა ქართული გაზეთის „დროების“ ათი წლის საიუბილეო დღესასწაულზე. მრავალი ამგვარი მოვლენა აშკარად მოწმობს, რომ ხალხიდან წარმომდგარი ურთიერთი ძმობის სულისკვეთება ადფრთოვანებს ხოლმე ორივე ეროვნების განათლებულ ფენებსაც. ბოლო ორი წლის წინათ ქალაქის თავად ქართველის არჩევამ ქალაქის თვითმმართველობის მიერ, რომლის 3/4 -ს სომეხები შეადგენენ, აშკარად დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიული კლასიც, რომელსაც ჩვეულებრივ ახასიათებს ვიწრო და ეგოისტური ნაციონალიზმი, ამჟამად თავისუფალია ტომობრივ ცრურწმენათაგან და ეს ხელს არ უშლის მას ღირსად ცნოს ქართველი, რომ მან ქალაქის წარმომადგენლის ადგილი დაიკავოს. გასაკვირველი იქნებოდა ყოველივე ეს სხვანაირად რომ ყოფილიყო. იმიტომ რომ, მიუხედავად ენისა და სარწმუნოების განსხვავებისა, ქართველები და სომეხები წარმომოებით ახლო მონათესავე ეროვნებებია და ცხოვრების მთელი წყობით მათ შორის საოცარი მსგავსებაა. ამ ტომობრივი და საყოფაცხოვრებო მსგავსებით აიხსნება სხვათა შორის ის მოვლენა, რომ საუკეთესო სომხურ პიესებს, რომელთაც უკანასკნელ ხანებში თარგმნიან ქართულად, აღტაცებაში მოჰყავს ქართველი საზოგადოება, რომელიც ამ პიესებშიც ხედავს ქართველთა ცხოვრების ნიჭიერ ასახვას. ასევე უყურებს სომეხი საზოგადოება საუკეთესო ქართულ დრამატულ ნაწარმოებებს, რომელნიც თარგმნილია სომხურად. გარდა ამისა, ორივე ეროვნების ისტორიული ბედი ისეთი იყო, რომ ძლიერ უნდა შეეწყო ხელი მათ შორის ძმობისა და ერთობის სულისკვეთების განმტკიცებისათვის. ორივე ეროვნება თითქმის მოციქულთა ხანაში იღებენ სახარების მოძღვრებას და ხდებიან ქრისტიანული ცივილიზაციის მატარებელნი და გამავრცელებელნი მცირეაზიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. ორივენი მალე გააფთრებული თავდასხმების საგანი ხდებიან მრავალრიცხოვანი მტრების მხრივ, რომელნიც ყოველი მხრიდან უტევენ მათ, მაჰმადიანობის ფანატიზმით ადფრთოვანებულნი, ეს მტრები რაკი ხედავენ, რომ შეუძლებელია ქართველებსა და სომეხებს დააკარგვინონ რელიგია და ეროვნულობა, ცდილობენ სრულიად მოსპონ ისინი და ალგავონ დედამიწის პირისაგან. საერთო საფრთხე აერთიანებს ქართველებსა და სომეხებს და ისინი შეთანხმებულად იცავენ თავიანთ ეროვნებას, თავიანთ რელიგიასა და თავიანთ არსებობას. მაგრამ მოკავშირენი, ძლიერნი თვისობრივად, რაოდენობის მხრივ სუსტნი აღმოჩნდნენ უამრავი მტრების ურიცხვი ხროვის წინაშე და სომხეთი პირველი ეცემა ბრძოლაში, კარგავს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ახერხებს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოსვლას და მტრების მიერ დაპყრობილი

ოლქებიდანაც ბევრი სომეხი გადმოსახლდა საქართველოში. როგორ ეპყრობა მათ ქართველი საზოგადოება და მთავრობა? უაღრესად ჰუმანურობით. ნაცვლად უნდობლობისა, დაეჭვებისა, უუფლებობისა, მყარდება ქართველთა და სომეხთა სრული თანასწორუფლებიანობა. სახელმწიფოებრივ თანამდებობათა დაკავების საქმეში არავითარი განსხვავება არ არის ქართველებსა და სომეხებს შორის და უკანასკნელნი პირველთა თანაბრად იღებენ უმნიშვნელოვანეს თანამდებობებს სახელმწიფოში. სომეხთა რელიგია, ენა, ეროვნება, ხელშეუხებელი ხდება და არავის არ მოსდის თავში ველური და სასტიკი აზრი - წაართვან მათ ეროვნული თავისებურებანი, გააუპიროვნონ და გააქართველონ ისინი. სამაგიეროდ სომეხებიც ასევე ეპყრობიან ქართველებს. ნდობას სრული ნდობით უპასუხებენ, იმსჭვალებიან გულწრფელი ერთგულებით საქართველოსადმი და სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის თავდადებაში ეცილებიან ქართველებს. ისინი საქებური თავგანწირვით იბრძვიან თავიანთი ახალი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ და არც ერთხელ არ შეუბღალავთ თავიანთი რეპუტაცია ღალატით. ორივე მხარე იმსჭვალება ურთიერთი პატივისცემით. ქართველები სომეხებში პატივს სცემენ კეთილგონივრულობით აღსავსე პრაქტიკულ ჭკუას, თანდაყოლილ ვაჭრულ სულს, შეუპოვრობას ერთხელ დასახული მიზნის მიღწევაში, თავშეკავებას; თავის მხრივ სომეხები ქართველებში პატივს სცემენ თეორიულ ჭკუას, რაც, სხვათა შორის, მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს პოეტური შემოქმედების დიდად ნიჭიერ ნაწარმოებებში, ხასიათის რაინდულ თვისებებს, ურყევ პატიოსნებას, - რაც მათ, სხვათა შორის, აიძულებს თავი აარიდოს სპეკულაციას და სიყვარულით მისდიოს მხოლოდ ნაყოფიერ შრომას, - გულკეთილობას, სიმპათიურ ხასიათს და უძლეველ მამაცობას, რამაც შეუნარჩუნა ხალხს მისი ტერიტორია სწორედ ამ ძმური ურთიერთობით, რომელიც დამკვიდრდა თანასწორუფლებიანობის ბრძნულ პოლიტიკის გამო აიხსნება, სხვათა შორის, ის საკვირველი ფაქტი, რომ პატარა საქართველომ შესძლო გმირული ბრძოლის ატანა მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ მთელ რიგ საუკუნეთა მანძილზე სომხეთის დაცემის შემდეგ. ამრიგად, საყოველთაოდ გავრცელებული ცრუ რწმენა, თითქოს ანტაგონიზმი არსებობდეს სომეხებსა და ქართველებს შორის, სრულიად ყალბი და უსაფუძვლო შეცდომა აღმოჩნდა და პირდაპირ ეწინააღმდეგება სინამდვილეს. მაშ საიდან გაჩნდა ეს ცრურწმენა? ის წარმოიშვა ერთი უკუღმართად გაგებული კერძო მნიშვნელობის მქონე მოვლენის ნიადაგზე, რომელსაც სრულიად უმართებულოდ ზოგადი ხასიათი მიეცა. სომეხების თანდაყოლილი ვაჭრული სულის გამო, მათმა განსაზღვრულმა ნაწილმა შეადგინა ხალხის ექსპლოატატორთა ის კლასი, რომელსაც ეწოდება კულაკ-მრეწველები. ამ ჯურის ადამიანები იოტის ოდენაც არ ადიდებენ სახალხო სიმდიდრეს, დახელოვნებული არიან მხოლოდ შრომის ნაყოფის გადანაცვლებაში მშრომელთა ჯიბეებიდან თავის ჯიბეში, ყველაზე ნაკლებ მუშაობენ. ყველგან სძულს ხალხს, მიუხედავად იმისა, თუ რა ეროვნებას ეკუთვნიან. ბუნებრივია, რომ ამ ჯურის ადამიანებს თავისთავისადმი უნდა გამოეწვიათ შრომისმოყვარულ, მაგრამ ღარიბ, მათ მიერ ექსპლოატაციაქმნილ ქართველ ხალხში მტრული გრძნობა და არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება. ქართველი ხალხის ეს არაკეთილმოსურნეობა კულაკ-მრეწველთა მიმართ ბევრად ადამიანებმა ჩქარა განაზოგადეს და მთელ სომეხ ეროვნებაზე გადაიტანეს, ამავე დროს კი თვალი დახუჭეს ათასობით ფაქტზე,

რომელნიც აშკარად მოწმობენ ამ ორი ეროვნების დამაკავშირებელი ძმობისა და ერთიანობის სულისკვეთებას. მათ არ უნდოდათ, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ შეეძლოთ გაეგოთ, რომ მაგალითად რომელიმე კარაპეტი ქართველ ხალხს სძულს არა იმიტომ, რომ მისი გვარი იანციით ბოლოვდება, არამედ იმიტომ, რომ ის წარმოადგენს გაუმაძღარ წურბელას, რომელიც ხალხის სისხლსა სწოვს, რომ ის ასევე სძულს იმ სომხებსაც, რომელნიც მისი ექსპლოატატორების მსხვერპლნი ხდებიან, და რომ, ბოლოს, ქართველებს არა ნაკლებ სძულთ ის ერთეულები თავიანთ შორის, რომელნიც არაფერს ჰქმნიან და მეტოქეობას უწევენ სომეხ მრეწველებს ხალხის ჯიბის გასქელების ოსტატობაში. იმ შეუბრალებელი ექსპლოატაციის პირობებში, რომელსაც სომეხი კულაკ-მრეწველები უწევენ ქართველ მოსახლეობას, უფრო ნაკლებ მტკიცე ზნეობრივი კავშირი, ვიდრე დღეს არსებობს ქართველებსა და სომხებს შორის, ადვილად გაწყდებოდა და მტრულ გრძნობად გადაიქცეოდა მთელი სომეხი ეროვნების მიმართ, მაგრამ მასში ისე ღრმად გაიდგა ფესვები ძმურმა დამოკიდებულებამ მისდამი, რომ სომეხი ეროვნების ზოგიერთი წარმომადგენლის ეკონომიკურმა უსამართლობამაც კი ვერ შეარყია ის შეთანხმებულობა, ძმობა და სოლიდარობა, რაც დიდი ხანია დამყარდა ქართველებსა და სომხებს შორის. ასეთია სომეხ და ქართველ ეროვნებათა ნამდვილი, რეალური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა პირდაპირ ეწინააღმდეგება მოგონილ ანტაგონიზმს მათ შორის და არ შეიძლება მან გული არ გაუხაროს ხალხის ყოველ ჭეშმარიტ მეგობარს, რადგან ისე არაფერი ადიდება ხალხის მწუხარებისა და ადამიანთა ტანჯვის ჯამს, როგორც ტომობრივი შუღლი და ეროვნებათა შორის მტრობა. მოვიგონოთ, რომ ახლანდელი ომი, რომელმაც მოკლე ხანში გადააჭარბა სხვა ომებს უამრავ ადამიანთა მწუხარებით და ცრემლებით, გამოწვეულია იმ ხალხთა ტომობრივი მტრობით, რომელნიც ცხოვრობდნენ ერთ-ერთ კურთხეულ ნახევარკუნძულზე. ის, ვინც ამ მტრობას სთესს, ადამიანის დანაშაულობათა ყველაზე მძიმე დანაშაულს სჩადის. ამ თვალსაზრისით უსასტიკესი დაგმობის ღირსია სომეხი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მოქმედება, რომელმაც თავისი ყურადღებით და ლაქუცით ერთ-ერთი ფრანგული პოპულარული გაზეთის კორესპონდენტის გული მოიგო და მოახერხა სომეხი ეროვნების შექება ქართველი ეროვნების ხარჯზე, რომელიც კორესპონდენტის აღწერით დამცირებულია. ამ საქციელს არ შეეძლო მძიმე შთაბეჭდილება არ მოეხდინა ქართველ საზოგადოებაზე, რომელიც სრულიად არ მოელოდა ასეთ უტაქტობას. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს უტაქტობა გამონაკლისად დარჩება საერთო წესიდან, რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ ახასიათებს ძმობის სულისკვეთებას, რაც დიდი ხანია ფესვგადგმულია ხალხში, რომელიც თუმცა ბნელი მასის სახელს ატარებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, ჩინებულ გაკვეთილს აძლევს ინტელიგენტურ ფენებს ურთიერთპატივისცემისა და სოლიდარობის საქმეში.

ძმობა ქართველებსა და სომხებს შორის და უმჭიდროესი ერთიანობა რუსეთთან - აი ორკეცი დევიზი, რომელიც მოისმის ხალხის ცხოვრების სიღრმიდან, და რომლისადმი მტკიცე ერთგულება, გონებრივი, ზნეობრივი და მატერიალური წარმატების პირობებში ჩვენს განაპირა მხარეს გადააქცევს ერთ-ერთ მაღლიან კუთხედ და ბრწყინვალე მომავალს შეუქმნის მას.